თამარ ალანია

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1976 წლის 8 ივლისს, ქ. თბილისში.

<u>განათლება</u>
1993 წელს დავამთავრე თბილისის №51 საშუალო სკოლა.

1998 წელს დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

<u>სამუშაო გამოცდილება</u>

1999-წელს დავინიშნე საქართველოს გენერალური პროკურატურის კადრების სამმართველოს სტაჟორ პროკურორად.

2000-2001 წლებში ვმუშაობდი საქართველოს გენერალური პროკურატურის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერ სამმართველოში სტაჟიორ პროკურორად.

2001-2003 წლებში ვმუშაობდი საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს ანალიტიკური განყოფილების პროკურორად.

2003-2004 წლებში ვმუშაობდი გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს საოლქო სასამართლოებში სახელმწიფო ბრალდების განყოფილების პროკურორად.
2004 წელს გავიარე შიდა კონკურსი ,გასაუბრება და პოლიგრაფიული ტესტირება, რის შედეგადაც დავინიშნე გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისამართლებრივი დევნის სპეციალურ სამსახურში პროკურორად.
2004-2006 წლებში ვმუშაობდი გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისამართლებრივი დევნის სპეციალურ სამსახურში პროკურორად.

2006-წელს დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ.

2013 წლის 9 ივნისს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ ვიქენი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.
2014 წელს კონკურსის გავლის გზით ვიყავი მივლინებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რაც წარმატებით გავიარე.

<u>პედაგოგიური საქმიანობა</u>
2014 წლიდან ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში შემდეგ საკითხებზე : არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული საკითხები; მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით; სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშულების ეფექტიანი განხილვა; ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულთა პროცესუალური უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული გადაწყვეტილებების მიხედვით; ბავშვის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მოსამართლის პროფესიული უნარები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული სამართალი.

უცხო ენები
ქართული-მშობლიური
ინგლისური-კარგად
რუსული - კარგად

ოჯახური მდგომარეობა

მყავს მეუღლე და სამი შვილი.

თამარ ალანია